

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ციფრული
ტექნოლოგიების გამოყენებით

ანა ქორთუა, ეკატერინა სებისკვერაძე, მარიამი გორგიშელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე ზოგადი
განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ნინო რევიშვილი, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ანა ქორთუა

ეკატერინა სეზისკვერაძე

მარიამი გორგიშელი

30.06.2025

აბსტრაქტი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ გამოწვევას თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში. ცვლილებებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, მასწავლებლებს სჭირდებათ არამხოლოდ ტექნოლოგიური კომპეტენციების განვითარება, არამედ თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროფესიული გარემოს გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს მდგრად და გააზრებულ ცვლილებებს სკოლაში.

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება პრაქტიკის კვლევის მეთოდოლოგიას და განხორციელდა თბილისის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში - მეექვსე საავტორო სკოლაში. კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს პროფესიული პრაქტიკის საზოგადოებების (Communities of Practice – CoP) თეორია და ევერეტ როჯერსის (Rogers, 2003) ინოვაციის დიფუზიის მოდელი, რაც იძლევა შესაძლებლობას, გაანალიზდეს კოლექტიური სწავლებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების ინტეგრაციის პროცესები როგორც სოციალური, ისე ორგანიზაციული დინამიკის ჭრილში.

კვლევის მიზანია, გაარკვიოს, როგორ აისახება თანამშრომლობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება მასწავლებელთა ტექნოლოგიური კომპეტენციების განვითარებაზე. დიაგნოსტიკური ეტაპის ფარგლებში შესწავლილ იქნა სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, მასწავლებელთა ტექნოლოგიური კომპეტენცია, გამოცდილების გაზიარების არსებული პრაქტიკა, მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორები და ადმინისტრაციის მხარდაჭერის ხარისხი. კვლევის პროცესში მასწავლებელთა მონაწილეობით გამოიკვეთა პროფესიული საჭიროებები, რის საფუძველზეც დაიგეგმა რამდენიმე ინტერვენცია, მათ შორის ციფრული ბიბლიოთეკის შექმნა, კოლეგიალური შეხვედრების დაგეგმვა და ტექნო-მეგობრის მოდელის დანერგვა.

კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სკოლის კონტექსტის სიღრმისეულ გაანალიზებასა და მასწავლებელთა პერსპექტივების გათვალისწინებას. მიუხედავად

სხვადასხვა გამოწვევისა, კვლევამ წარმოაჩინა კოლექტიური პროფესიული განვითარების პრაქტიკის დამკვიდრების პოტენციალი, რომელიც ეფუძნება ადგილობრივ საჭიროებებს, გაზიარებულ პასუხისმგებლობასა და ტექნოლოგიურ ცვლილებებზე რეაგირების მზაობას.

მიუხედავად მიზანმიმართული დაგეგმვისა და სკოლასთან თანამშრომლობის მცდელობისა, ინტერვენციების უმეტესობა ნაწილობრივ განხორციელდა. განხორციელდა მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტული აქტივობა, როგორც იყო საგნობრივად ორგანიზებული საერთო Drive-სივრცის შექმნა ციფრული რესურსების გაზიარებისთვის, თუმცა მისი გამოყენება მასწავლებლების მიერ იყო ფრაგმენტული, რის გამოც ვერ იქცა სტაბილურ პრაქტიკად პროფესიული თანამშრომლობისთვის. ინტერვენციების ჩავარდნის მიზეზად გამოვლინდა მასწავლებელთა მაღალი დატვირთვა, დროითი რესურსების სიმწირე, ორგანიზაციული მხარდაჭერის ნაწილობრივი ხასიათი კვლევამ ცხადყო, რომ მიუხედავად მასწავლებელთა ინტერესისა და თეორიული მხარდაჭერისა, პრაქტიკაში ინტერვენციის მდგრადად განხორციელებისთვის აუცილებელია ადმინისტრაციული და კოლექტიური ძალისხმევის თანხვედრა, სტრუქტურირებული მხარდაჭერის სისტემები და თანმიმდევრული ჩართულობა. მიღებული გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ ცვლილების ინიცირება მხოლოდ იდეების დონეზე არ არის საკმარისი - წარმატებული ინტეგრაცია მოითხოვს კონტექსტზე მორგებულ და თანმიმდევრულად განხორციელებულ სტრატეგიას.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ციფრული ტექნოლოგიები, მასწავლებელთა თანამშრომლობა, Communities of Practice, ინოვაციის დიფუზია, გამოცდილების გაზიარება.

Abstract

Promoting teachers' professional development through the use of digital technologies represents one of the most pressing challenges in contemporary educational settings. In the context of rapid change and digital transformation, teachers require not only the development of technological competencies but also the strengthening of a collaborative professional environment that fosters sustainable and intentional change within schools.

This study is grounded in the methodology of Action Research and was conducted in a private general education institution in Tbilisi - The Sixth Author School. The theoretical framework of the research is based on the theory of *Communities of Practice* (CoP) and Everett Rogers' *Diffusion of Innovations* model (Rogers, 2003), which together enable the analysis of processes related to collective learning and the integration of technological innovations from both social and organizational perspectives.

The aim of the study is to explore how the formation of collaborative structures influences the development of teachers' technological competencies. During the diagnostic stage, the research examined the school's infrastructure, teachers' technological competencies, existing practices of experience sharing, motivational factors, and the degree of administrative support. Teachers' involvement throughout the research process helped identify professional needs, based on which several interventions were planned-such as the creation of a digital library, the organization of collegial meetings, and the implementation of a "tech-buddy" model.

A significant emphasis was placed on the in-depth analysis of the school context and the consideration of teachers' perspectives. Despite various challenges, the study revealed the potential for establishing a culture of collective professional development, grounded in local needs, shared responsibility, and readiness to respond to technological change.

However, despite deliberate planning and efforts to collaborate with the school, most of the interventions were only partially implemented. Only a few fragmented activities were carried out, such as the creation of a subject-organized shared Drive space for digital resource sharing. Yet, due to limited and inconsistent use by teachers, this initiative failed to become an embedded and sustainable professional collaboration practice. The main reasons for the unsuccessful implementation of interventions were found to be teachers' heavy workload, limited time resources, and partial organizational support.

The study revealed that, despite teachers' interest and theoretical endorsement, the sustainable implementation of interventions in practice requires alignment between administrative and collective efforts, structured support systems, and consistent engagement. The experience gained clearly shows that initiating change at the level of ideas alone is not sufficient - successful integration demands a context-sensitive and systematically implemented strategy.

Keywords: teachers' professional development, digital technologies, teacher collaboration, Communities of Practice, diffusion of innovation, experience sharing.